


II კოლოქვიუმის საკითხები

1. დაწერეთ იმპულსის ფორმულა.
2. დაწერეთ ნიუტონის მეორე კანონი იმპულსის გამოყენებით.

3. მოცემული გრაფიკის მიხედვით რას უდრის სხეულის იმპულსის ცვლილება 1-დან 3-მდე დროის შუალედში?



4. ჩამოაყალიბეთ იმპულსის შენახვის კანონი ნაწილაკთა სისტემისათვის.
5. ჩამოაყალიბეთ სიტყვიერად მსოფლიო მიზიდულობის კანონი და დაწერეთ მისი ფორმულა.
6. რა არის სხეულის წონა ?
7. აჩვენეთ თუ რატომ არ არის დამოკიდებული თავისუფალი ვარდნის აჩქარება სხეულის მასაზე.
8. რა სიჩქარე უნდა მივანიჭოთ სხეულს, რომ გახდეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი ? რა ეწოდება ამ სიჩქარეს ?
9. რას უდრის სხეულის წონა ლიფტში თუ ლიფტი მოძრაობს ზევით აჩქარებით a და სხეულის მასაა m .
10. რას ეწოდება რეაქციის ძალა და საით არის იგი მიმართული ?
11. რას უდრის სხეულის წონა ლიფტში თუ ლიფტი მოძრაობს ქვევით აჩქარებით a და სხეულის მასაა m .
12. საით არის მიმართული ხახუნის ძალა სხეულის სრიალისას და რას უდრის მისი სიდიდე ?
13. დაწერეთ ჰუკის კანონი თუ ზამბარის დეფორმაცია არის x .
14. დაწერეთ მექანიკური მუშაობის ფორმულა.
15. თოკზე მიბმული სხეული მასით m ტრიალებს წრიულად. რას უდრის თოკის დაჭიმულობის ძალის T მიერ შესრულებული მუშაობა ? რატომ ?

16. დაწერეთ კინეტიკური ენერჯიის ფორმულა. რა არის ენერჯიის ერთეული ?

17. ჩამოაყალიბეთ მექანიკური ენერჯიის შენახვის კანონი.

18. $m=0.1$ კგ მასის ბურთი ვარდება $h=10$ მ სიმაღლიდან. განსაზღვრეთ ბურთის პოტენციური და კინეტიკური ენერჯია ვარდნის დასაწყისში და ბოლოში.

19. რას ეწოდება სიმძლავრე ? დაწერეთ სიმძლავრის ფორმულა.

20. 80 ნ ძალის მოქმედებით ადამიანს ამოაქვს წყალი 10 მ სიღრმის ჭიდან 20 წამში. რა სიმძლავრეს ანეითარებს ამ შემთხვევაში ადამიანი ?

21. დაწერეთ სხეულის სიმკვრივის ფორმულა.

22. ჩამოაყალიბეთ არქიმედეს კანონი.

23. როგორი უნდა იყოს სხეულის სიმკვრივე სითხის სიმკვრივესთან შედარებით, რომ სხეულმა ამ სითხეში იტივტივოს ?

24. წყალქვეშა ნავი იმყოფება 200 მ სიღრმეზე. რას უდრის ამ ნავის 1 კვადრატულ მეტრზე მოქმედი ძალა. წყლის სიმკვრივედ აიღეთ 1000 კგ/მ³.

25. ჩამოაყალიბეთ პასკალის კანონი.